№ 206 ოქტომბერი 4, სამშაბათი 1888 ოქტომბერი 4, სამშაბათი № 206

# ივერია

სა-პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1888

1877—1888

გაზეთი ღირს

| თთვე | მან. | კ. | თთვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, ხიდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

გაზეთი „ივერია“ პირველ ოქტომბრიდამ წლის დამლევამდე ღირს 3 მ. 50 კ.

ქართული თეატრი

სამშაბათს, 4 ოქტომბერს,

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქმნება:

I

ქმრების დამონავება

დრამატიული სცენები 3 მოქმ., გადმოკეთებული ალ. მ—სა.

II

თბილისიით მოარშიყე

კომედ. 2 მოქ., გ. ერისთავისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი გაბუნია-ცაგარლისა, ჩერქეზიშვილისა, მელიქოვისა, თამაროვისა; ბ-ნნი აბაშიძე, ყიფიანი, აწყურელი, გამყრელიძე და სხვ.

დასაწყისი $7^1/_2$ საათზედ.

### ტფილისი, 3 ოქტომბერი

კავკასიის მუზეისა, სამხედრო-საისტორიო მუზეისა, საქალებო გიმნაზიისა და კადეტების კორპუსის დათვალიერების გარდა მათნი უდიდებულესობანი და უმაღლესობანი 30 სექტემბერს, პარასკევს, საღამოს $9^1/_2$ საათზედ, ბძანდებოდნენ სახალხო სეირნობაზედ, რომელიც გაჰმართა ქალაქმა მუშტაიდის ბაღში. მიხეილის ქუჩა მშვენივრად იყო მორთული ბაირაღებით. მუშტაიდის კარებთან სატრიუმფო კარი იყო გაკეთებული, რომელზედაც ეწერა: „კეთილი იყოს თქვენი მობძანება“. მთელი ბაღი მუშტაიდისა ათას ფერადიყო განათებული. მათ უდიდებულესობათა პავილიონში და პავილიონს გარედაც ელექტრონი ენთო და კარგა ძლიერ ანათებდა. საგანგებოდ სასიამოვნოდ იყო ამ სინათლით განათებული სამეფო პავილიონს ახლო გამართული შადრევნები. ბაღში თავი მოეყარა ათას გვარად ჩაცმულ ხალხს, რომელნიც რიცხვით, სულ ცოტა, 7,000-მდე იქმნებოდნენ.

მობძანდნენ თუ არა მათნი უდიდებულესობანი, ამოდენა ხალხში გაისმა ერთობილი ურას ძახილი. მათნი იმპერატორებითნი უდიდებულესობანი შემოსვლისათანავე სამეფო ლოჟაში დაბძანდნენ. ამ ლოჟას წინ სათამაშო და საცეკვაო მოედანია გამართული, ხოლო მოედანს იქით ხალხია თავმოყრილი. სამეფო ლოჟის ორივ მხრივ შადრევნებია გაკეთებული, შადრევანია გამართული აგრეთვე ბუფეტს ახლო და პავილიონის კარებთან. პავილიონის შენობა მშვენივრად არის მორთული ორნამენტებით და აზრეშუმეულობით. კედლებზე ძველებური იარაღი და ირმის რქებია ჩამოკიდებული, იატაკი ხალიჩებით არის მოფენილი.

ხელმწიფე იმპერატორს ძალიან მოეწონა პავილიონი, ასე რომ იკითხა კიდეც: ქალაქის ხუროთ-მოძღვრის აშენებულიაო? ქალაქის თავმა ა. ს. მატინოვმა მოახსენა, რომ დიაღ, ქალაქის ხუროთ-მოძღვარმა შიმკევიჩმა ააგოო.

ხელმწიფე იმპერატორსა და იმპერატრიცას გვერდზედ დიდნი მთავარნი იყვნენ, მათ უკან ქალაქის თავი მეუღლითურთ. იქვე იყო მთავარმმართებელი ა. მ. დონდუკოვ-კარსაკოვი. პატარა ხანს უკან პავილიონის წინ დაიწყეს ლეკურის თამაში. ხელმწიფე იმპერატორი ქალაქის თავს მოთამაშეთა გვარებს ჰკითხავდა. მოლეკურეთა შორის განსაკუთრებით თავი იჩინა ვ. ყარანგოზიშვილმა. ამ ხანგრძლივის ლეკურის დროს მტკვრის ახლო, დედამიწაზედ, ამქარს სუფრა ჰქონდა გაშლილი და პურსა სჭამდა.

ლეკურს შემდეგ მათნი უდიდებულესობანი და უმაღლესობანი გადავიდნენ პავილიონის დასავლეთს მხარეს ხალხში. დიდი მჭიდროობა იყო. აქ თავადმა დონდუკოვ-კარსაკოვმა მოახსენა იმპერატორს: „მოგვიტევეთ, თქვენო უდიდებულესობავ: მჭიდროობაა, მაგრამ მმართველს ისე არსად შეუძლიან გულ-არხეინად იყოს, როგორც ამ ხალხშიო“. ხალხის სალამზე ხელმწიფემ ორჯელ-სამჯერ წარმოსთქვა: „გმადლობთ ასეთის დახვედრისათვისაო“. ამას შემდეგ დაიწყეს შუშხუნების ანთება და მათ უდიდებულესობათა წაბრძანების შემდეგაც ათას ფერი შუშხუნები ადიოდა ცაში ერთი მეორეზედ.

შაბათს, 1 ოქტომბერს, დილის 6 საათიდგანვე სასახლესთან ხალხმა თავის მოყრა დაიწყო. სასახლის ახლო და ქუჩაზედ მწკრივად იდგა საპატიო ყარაული, ამქარი და გენერალიტეტი. მეცხრე საათზედ გამობრძანდნენ ხელმწიფე იმპერატორი და იმპერატრიცა, მემკვიდრე ცესარევიჩი და დიდი მთავარი გიორგი ალექსანდრეს ძე. მათ უდიდებულესობათა ყოვლად მოწყალედ ხელი ჩამოართვეს გენერლებს, რომელთანაც იყო აგრეთვე კორპუსის კორმანდირი გენერალ-ლეიტენანტი თავადი ჭავჭავაძე. შემდეგ მათ უდიდებულესობათ მოართვეს ეტლები და წაბრძანდნენ. მათ უდიდებულესობათა გაიარეს აელაბარზე და კახეთის გზით გაუდგნენ წინანდლის გზას. გზაზედ დიდ-ძალს ხალხს მოეყარა თავი მათ უდიდებულესობათა სანახავად; ბანები, მოაჯირები და ფანჯრები სავსე იყო ხალხით, პაწიებიდგან დაწყებული მოხუცებულობამდე, რომელნიც დიდის დანანებით აცილებდნენ მათ უდიდებულესობათა.

## ახალი ამბავი

*** უმაღლესად ებოძა წმ. მთავარ-მოწამის ეკატერინეს ორდენი პატარა ჯვარისა კავკასიის მთავარ-მმართებელის თანაშემწის შერემეტიევის მეუღლეს ევდოკია ბორისის ასულს შერემეტიევისას, კნ. ქეთევან გიორგის ასულს ჯამბაკურ-ორბელიანისას და ალექსანდრა მაკარის ასულს მელიქოვისას. ფრეილინობა ებოძა მარიამ მიხეილის ასულს სუმბათოვისას, ნინო ლევანის ასულს მელიქოვისას, ელენე სამსონის ასულს შერვაშიძისას და ბარბარე ნიკოლოზის ასულს არღუტინსკი-დოლგორუკისას.

ხელმწიფე იმპერატორმა უბოძა თ. კონსტანტინე ივანეს ძეს ბაგრატიონ-მუხრანსკის ეგერმეისტერობა, ტფილისის მაზრის წინამძღოლს მაღალოვს კამერგერობა, სიღნაღის მაზრისას თ. ანდრონიკოვს, თავად გრუზინსკისა და თავად ა. ბაგრატიონ-მუხრანსკის—კამერ-იუნკრობა. ყველა იმ თავად-აზნაურთ, რომლებიც საპატიო ყარაულში იყვნენ, ხელმწიფე იმპერატორმა უბოძა მილიციის პრაპორშჩიკის ჩინი. სხვათა შორის ესევე ჩინი ებოძა აზნაურს ალექსანდრე იასეს ძეს ფაღლენიშვილს, რომელიც საპატიო ყარაულში ერია და ჩვენს გაზეთში დაბეჭდილს ამ ყარაულის სიაში შეცდომით ვერ მოვიხსენიეთ. ტფილისის პოლიციმეისტერს ებოძა ბრილიანტის ბეჭედი.

*** ტფილისის ყველა სასწავლებლების მოწაფეები დაუთხოვნიათ სამის დღის ვადით, ამ თთვის ექვსამდე.

*** დღეს, 4 ღვინობისთვეს, ბანკის თეატრში მეორე ქართული წარმოდგენა იქნება. ითამაშებენ ახალს პიესას: „ქმრების დამონავება“, რომელიც გადმოღებულია ქართულად ა. მ—საგან. წარმოდგენა დასრულდება გიორგი ერისთავის მხიარულისა და დიდხანს არ-წაშლილს ვოდევილით: «თბილისმით მოარშიყე».

წარმოდგენაში მიიღებს მონაწილეობას მთელი დრამატიული დასი.

*** პარასკევს, 30 ენკენისთვეს, უნდა ყოფილიყო წლიური კრება ქართულ დრამატიულ საზოგადოებისა, მაგრამ რადგან არ შეკრბა საკმაო რიცხვი საზოგადოების წევრებისა, ამიტომ ყრილობა სხვა დროსთვის იქნება დანიშნული, როგორც შევიტყეთ, ორის, ან სამის კვირის შემდეგაო.

*** „სიბრძნე ბაჰლავარისა“, რომელსაც, როგორც „ივერიის“ მკითხ-

# ფელეტონი

### წერილი რაჭიდგან

(სოფ. უწერა და გლოლა)

ყველამ იცით, რომ ჩვენი ქვეყანა მდიდარია საგარაკო ადგილებით და სამკურნალო წყლებით, მაგრამ ეს სიმდიდრე გამოყენებით-კი ვერ გამოგვიყენებია. ყველაფერი ისეთს მდგომარეობაშია, როგორც ბუნებას შეუქმნია; ადამიანის ხელს იმისთვის ჯერჯერობით არ მოუცლია. განსაკუთრებით შესანიშნავია ამ მხრით ერთი მივარდნილი კუთხე საქართველოსი—რაჭა. ამ ქვეყნის დაჯილდოვებული ჰავა გრილი და სალია, ბუნებაც მშვენიერია და სხვა-და-სხვა თვისების სამკურნალო წყლებიც ბლომად იპოვება. აქ, რაჭაში, ცნობილია თავისის წყლებით შემდეგი სოფლები: უწერა, გლოლა, ურავი, გომი (ზემო-რაჭაში), ბუგეული, ქვემო-კრიხი და სხვ. (ქვემო-რაჭაში). სოფელ ნიკორ-წმინდის ჰაერი და წყლები (არა-სამკურნალო) ხომ მოწონებულია ექიმების მიერ მთელს კავკასიაში. ის «საყინულე» და კალმახებით განთქმული „ხარითვალა“, რომლის სანახავადაც ზაფხულობით ბევრი უცხო ხალხი მოდის ტყიბულის სადგურიდგან, სოფ. ნიკორ-წმინდას ეკუთვნის. თვით ჩვენს მეფესაც, დავით აღმაშენებელს, მოსწონებია და შეჰყვარებია ეს სოფელი და აქ დიდებული ეკლესია აუშენებია და დაუტოვებია სახსოვრად.

სხვა სოფლებზე უფრო ხალხს იზიდავს სოფ. უწერა, რომელიც 12 ვერსის მანძილზეა დ. ონიდგან. ნახევარს საუკუნეზე მეტი იქნება, რაც ამ სოფელში (უწერას) ხალხი მოდის საზაფხულოდ საქართველოს სხვა-და-სხვა ადგილებიდგან. ნამეტურ წელს უწერას ბევრი ხალხი მოაწყდა სამკურნალოდ, თუ საზაფხულოდ. აქ თქვენ შეგეძლოთ გენახათ: მეგრელი, გურული, ლეჩხუმელი, შორაპნელი, ქვემო-იმერელი და სხვ, მხოლოდ ქართლ-კახეთიდამა და ახალციხის მაზრიდამ არავინ იყო. ასე თუ ისე ეს სოფელი ყურადღების ღირსია და მეტი არ იქნება გავაცნოთ იგი მკითხველებს.

უწერა სძევს ზედ იმ სახელმწიფო გზაზე, რომელიც მამისონის უღელტეხილით ქუთაისიდგან კავკავს მიდის. იგი გაშენებულია მაღალს მთებს შორის, რიონის მარჯვენა ნაპირს, გვარიანად დაფერდოებულს ადგილზე. ამ სოფელმა ხალხის ყურადღება მიიქცია რკინისა და მჟავე წყლების გამოისობით. აქაური რკინის წყლები შეიცავს მჟავე ნახშირიანს მარილებს (углекислыя щелочи) და თავისუფლად მყოფ მჟავე ნახშირს. ტემპერატურა ამ წყლებისა 10°-ია. ავადმყოფებისათვის ეს წყლები როგორც სასმელად, ისე საბანებლად სახმარებელია; ჯერ-ჯერობით მხოლოდ რკინის წყლის აუზებია აქ გაკეთებული, მჟავე წყალს-კი მარტო სასმელად ჰხმარობენ. მჟავე წყალს სმენ ექიმების რჩევით ნახევარის ჭიქიდამ ოც-და-ათ ჭიქამდე, ხოლო ისე რომ ნახევარ ჭიქიდამ რომ დაიწყებს ავადმყოფი, ყოველ დღეს უნდა უმატოს თითო ჭიქა. თვითონ მჟავე წყალი, რომელსაც უფრო ეტანება ხალხი, გადმოდის რიონის მარცხენა ნაპირს, მაღალ ხრიოკ ფერდოებზე. რიონზე ხიდია გაკეთებული და ამ ხიდზე გადიგამოდიან მჟავე წყლის მსმელები. ხიდიდგან მჟავე წყლამდე ერთ ვერსამდე იქნება აღმართი. ბევრს ავადმყოფს, რომელიც ვაკეზე ნაჩვევია სიარულს, არ მოსწონს ეს აღმართი, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ, რომ ზოგი ჭირი მარგებელიაო; ამ აღმართზე სიარულიც მართლა რომ სასარგებლოა იმათთვის, ვისაც ფეხებისა და გულის ვარჯიშობა ეჭირება. მჟავე წყალი გამოდის ძალიან ძუნწად და ისე გამოჩუხჩუხებს კლდიდამ, თითქო უპირსო. მსმენელებს «წყლის» გამო ხშირად აყალმაყალი მოსდისთ, თითქო უკვდავების წყარო იყოს, ისე ეხვევა ხალხი გარშემო წყაროს, რომელიც სრულიად არ არის მოწყობილი; არც თავ-შესაფარი აქვსდა არც დასასვენებელი ადგილი. ქვის შოვნაც უჭირს კაცს, რომ იმ ვებერთელა აღმართს შემდეგ დაჯდეს ზედ და შეისვენოს. ბილიკი გზა მჟავე წყლიდგან რიონამდე ისეთს მდგომარეობაშია, რომ თუ კაცმა მარჯვედ და ფრთხილად არ გადასდგა ფეხი, დაგორდება და რიონის ნაპირზედ ამოჰყოფს თავს.

რკინის წყლის წყაროები ბევრია უწერაში, ნამეტურ რიონის მარჯვენა პირად. აქ უწერას გარდა რკინის წყლები იპოვება სოფ. გლოლასა, გომსა და ურავში და სხვ. ყველა ამ სოფლებში სხვა წყლის ნაცვლად რკინის წყალს ხმარობენ სასმელად.

მჟავე წყლიდგან ერთის ვერსის მანძილზე მთაში, ტყიანში, არის ესრედ წოდებული «სასუნებელი». ბევრს რასმე სატირალს მოგვითხრობენ ამ „სასუნებელზე“ და ორიოდე სიტყვას ამაზედაც მოგახსენებთ: „სასუნებელი“ წარმოადგენს ორმოს, საიდგანაც ამოდის ერთ გვარი მძიმე სუნი, რომელიც თავს ბრუს ასხამს ადამიანს. მისული ხალხი, უფრო მდაბიო, ბევრი მიდის ამ «სასუნებელის» მოსაწევად; უწერლები-კი ხანგრძლივის გამოცდილების შემდეგ აღარ ეკარებიან ამ სასუნებელს. ხალხის აზრით, იმისი მოწევა უხდება თავის ტკივილსა და ქარებსაო. თვითონ უწერლები-კი ამბობენ, რომ ამ სასუნებელმა არა ერთი ავადმყოფი გამოასალმა წუთისოფელსაო. რამდენისამე წლის წინად, როგორც გვიამბეს უწერაში, იქ, სასუნებელზე მისულა ერთი ავადმყოფი დედაკაცი და ჩაუყვია ორმოში თავი. მაგრამ კაცის გაუმაძღრობა ხომ მოგეხსენებათ: იმ დედაკაცს ეჰვი აუღია, რომ ამ გვარად ის მძიმე ჰაერი სულ ცხვირ-პირში არ შემივაო—გამეპარვისო და საბნები წაუხურავს მაგრად თავზე; ამ სახით დიდხანს დარჩენილიყო იგი და ჰპატრონებს-კი მანამდე არ მიექციათ ყურადღება, სანამ ფეხების ფართხუნი არ დაეწყო. ასე ადვილად ათავისუფლებს კაცს ეს სასუნებელი წუთი-სოფელს, მაგრამ ხალხი, ცხვრის ფარისა არ იყოს, მაინც არ ეშვება.

უმეტესი ნაწილი ავადმყოფებისა მიდის უწერაში ექიმების დაუკითხავად და თავის მიხვედრით რასაც სჩადის, უმტყუნდება და ძვირად უჯდება. საზოგადოდ უწერას მთელს დასავლეთს საქართველოში დიდი სახელი აქვს გავარდნილი და, ვინ იცის, რა შორი ადგილებიდამ არ მოდის აქ ავადმყოფი. როგორც სამკურნალო და საგარაკო ადგილი, უწერა, თუ ეხლანდელს მდგომარეობაში დარჩა,

ველებს უთუოდ ეხსომებათ, ამას წინად ჩვენმა გაზეთმა მეთაური წერილი უძღვნა, ახლა აქ, ტფილისში, იბეჭდება პროფესორის ალ. ცაგარელის რედაქციით. კორრექტურული ფურცლები პეტერბურგში გაეგზავნება პატივცემულს პროფესორს.

*** ამას წინად ორი მეცნიერი ინგლისელი მოგზაური, ლონდონის ალპიის საზოგადოების წევრი, ბ-ნი დონკინი და ფოქსი, ჩამოსულა კავკასიაში და ჰქონიათ განზრახვა, რომ კაშტან-ტაუს მთის წვერზედ ასულიყვნენ, იქიდამ გამგზავრებულიყვნენ სოფელ ლებისკენ, სადაც რიონის სათავეა, და ჩამოჰყოლოდნენ რიონს ქუთაისში. ჯერ ეს ინგლისელები იწერებოდნენ თურმე თავისს ამბავს ლონდონში, მერე-კი შემწყდარა იმათის მოგზაურობის ყოველივე ამბავი. ალპიის ზემოხსენებულს საზოგადოებას მიუწერია ბათუმის ინგლისელ კონსულისათვის, რომ გაგვიგე ჩვენის მოგზაურების ამბავიო. შეიქმნა ძებნა, მაგრამ აქამდის ვერაფერი გაიგეს, თუ სად გაჰქრნენ და რა დაემართათ უცხოელ მეცნიერებს. აქამდის იმათი კვალიც-კი არ არის ჯეროვანად მიგნებული. იმათ ახლდათ თან თურმე შვეიცარიიდამ წამოყვანილი მთაში სიარულს ჩვეული გამოცდილი გზის მაჩვენებელი. არც ამ მხლებელის კვალი სჩანს. ლონდონელს საზოგადოებას ოცი ათასი მანეთი ფული დაუნიშნავს თურმე თავისის წევრების მოსაძებნელად: ცოცხლები თუ არა, მკვდრები მაინც უნდა იპოვონ. ვინც პირველი შეიტყობს და აცნობებს იმათს ამბავს, ასი თუმანი საჩუქარია თურმე იმისთვის დანიშნული. ჩვენი მთავრობაც დავალებულია, რომ ყოველივე შემწეობა აღმოუჩინოს ამ საქმეში ლონდონის საზოგადოებას და, მართლაც, ადგილობრივი ადმინისტრაცია ძალიან დიდს მეცადინეობასა და მხნეობას იჩენს, რომ მოსძებნოს დაკარგული მეცნიერები. იმათ თან ჰხლებიათ თარჯიმნად ერთი რუსის ქვეშევრდომი გერმანელი, ვინმე რიგერი, რომელიც ამბობს, რომ ამადა-ამ დღეს მოგზაურები გაემართნენ კაშტან-ტაუსაკენ და ამ მთის გადასვლას აპირებდნენო; მე აქ დამტოვეს და ცხენების დაქირავება მომანდეს; ვარ აქ აგერ რამდენიმე კვირაა, მაგრამ იმათი ამბავი არაფერი მესმისო. უშიშარი ინგლისელნი, რომელნიც ჩვენს ქვეყანაში სამეცნიერო მოგზაურობისათვის წამოსულან, ისეთს დღესა და დროს გასდგომიან გზას მთაზე ასასვლელად, როცა თურმე დიდი ნისლი იყო, სთოვდა კიდეც და ძალიან ცუდი ტაროსი იდგა. ამას ამბობენ იქაურნი მკვიდრნი: ჩვენც-კი ვერა ვბედავთო ამისთანა დარში გარეთ სიარულსაო. კაშტან-ტაუს მთაზე აქეთ მხარეს უნახავთ თურმე ნაჯახით კიბე-კიბედ ნაპობი ყინული და ერთს ალაგს ცხადად აღბეჭდილი წალის კვალიც-კი ეტყობა, რომ გულადს მოგზაურებს უვლიათ აქ. ან გადაჩეხილან უთუოდ სადმე კლდეში, ან ნამქერს მოუსწრია და ჩაუმალავს სადმე. გაზაფხულამდის, სანამ თოვლი არ გადნება, იმათი მონახვა ახლა შეუძლებელია. დიახ კარგი იქნება, რომ ჩვენებმაც, ვისაც და რითაც-კი შეუძლიან შემწეობა აღმოუჩინოს ამ საქმეში საზოგადოებას, ასე იქნება თუ ისე, მოსძებნონ დაკარგულები.

*** **რაჭიდგან** გვწერს ჩვენი კორრესპონდენტი: მშვიდობიანობით და და სხვა სიკეთით განთქმული რაჭა თანდათან ჰკარგავს თავისს პირვანდელს სახელს. ცარცვა-გლეჯა, კაცის კვლა, მტრობით ერთმანეთის გადაწვა,—აი ყველა ის სენი, რომელიც თანდათან ვრცელდება რაჭველებში. ამაზე რამდენიმე სიტყვა წინადაც იყო მოხსენებული „ივერიაში" და ამიტომ ამ გზობით მხოლოდ ამ ზაფხულის ამბებს შევატყობინებთ: 14-ს ივლისს ონელი ებრაელი ხახიაშვილი მოჰკლა საჩხერელმა ურიამ მარდახა დათაშვილმა სოფ. ნაკიეთის დუქანში ღვინის სმის დროს. სოფ. წესის ფერისცვალობა დღეს გალახულმა გლეხმა, მეორე დღეს, მოჰკლა ხანჯლით ორი აზნაური გოცირიძე. შაორის მთაში ერთმანეთს წასჩხუბებიან ერთი რაჭველი და ერთიც შორაპნელი მოჭრილის ხის გამო. შორაპნელს გაუმარჯვნია და ცულით მოუკლავს რაჭველი. საზოგადოდ ამ მთაში იშვიათი არ არის ჩხუბი და დავიდარაბა რაჭველებსა და შორაპნელებს შუა.

ეხლა ორიოდე სიტყვა შაორის მთაზედაც. ამ ტყის საქმე ისე მიდის, რომ აუცილებლად საჭიროა იმას ყურადღება ათხოვონ, თორემ სადაც არის, სულ ერთიანად გაანადგურებენ ხე-ტყეს. ამ რამდენისამე წლის წინად შაორის მთაში მშვენიერი საკვიცხე ტყე იყო (აქ ნიკორ-წმინდის ტყეზე არაფერს ვამბობ) და ეხლა-კი რომ ნახოს კაცმა, სწორედ გული გაუსკდება. იმით უფრო საჭიროა ყურადღება ათხოვონ ამ ტყეს, რომ შესაძლოა დიდს უბედურებას შეგვასწროს. ისე დღე არ გაივლის. არ გაიგოთ, რომ ესა-და-ეს სოფლელები ერთმანეთს დაერივნენ ცულებით და ურთიერთი დააწიოკესო.

*** სოფ. **ბაკურციხე** (სიღნაღის მაზრა): დიდი ხანია, რაც აქ ლაპარაკი აქვსთ, რომ სასულიერო მთავრობამ სკოლა უნდა გამართოსო. ამ კეთილს საქმეს თანამგრძნობელიც ბევრი აღმოუჩნდა. კნ. ნინო ანდრონიკაშვილისამ აღუთქვა სკოლას ათასი მანეთი, აგრეთვე შემოსწირეს სასკოლო ადგილი, ექვსი მანეთი ფული წიგნების საყიდლად და შეჰპირდნენ უფასოდ ხე-ტყეს. ბაქოს საზოგადოებამაც შემოსწირა ოც-და-ხუთი მანეთი. თავად რევაზ ეჩნაძემ შემოსწირა საკლასო დაფა და ოც-და-ათი ცალი «დედა-ენა». წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებამაც აღგვითქვა დახმარება. შემდეგ საქმე იმაზე მიდგა, რომ თვით ბაკურციხის საზოგადოებას უნდა ეზრუნა თავისის შვილებისათვის, მაგრამ ამ საზოგადოებამ დიდი გულ-გრილობა გამოიჩინა. ასე ამბობენ, სკოლა რომ საჭირო იყოს, მთავრობა თითონ გაგვიმართვინებდაო. ამიტომაც აქ სწავლა ჯერ-ჯერობით არ მიმდინარეობს სახლის უქონლობის გამო. კარგი იქნება, რომ წერა-კითხვის საზოგადოებამ მოგვაწოდოს ის ოც და-ხუთი მანეთი, რომელიც ბაქოს საზოგადოებამ შემოგვწირა; ამ ფულით შესაძლო იქნებოდა სახლი დაგვექირავებინა, სანამ საკუთარს სახლს ავიშენებდით, და იმით საფუძველი დაგვედო სამრევლო სკოლისათვის.

*** სოფ. **სალიგვერდა** (ალაგირის სტანიცა, ჩრდილოეთს კავკასიაში): სალიგვერდაში ამ ჟამად სცხოვრებს 60-მდე რაჭველი, რომლებიც ამ რამდენისამე წლის წინად გადმოსახლდნენ რაჭიდგან. ამათ კარგად შეუთვისებიათ აქაური ბუნება და მას შემდეგ, რაც მუქთად დაურიგდათ მიწა, რიგიანად მოეწყვნენ. ეს მიწა რაჭველებს არა ჰყოფნისთ და ამიტომ იჯარით ღებულობენ სახნავ მიწასაც. სალაგვერდაში რაჭულის ხის სახლების ნაცვლად აშენებენ თეთრად შელესილს ბუხრიანს სახლებს. მოსაწონია აგრეთვე სახლების სუფთა და ლამაზი კარ-მიდამო. ვისაც აქ შრომა და გარჯა არ ეზარება, ძალიან კარგად შეუძლიან იცხოვროს. მიწამ სალიგვერდაში ძალიან კარგი მოსავალი იცის. რაჭველები აქ სთესენ მარტო სიმინდს, რომელიც უხვს მოსავალს იძლევა; პური ძალიან ნაკლებად ითესება და ვენახი-კი არა ხარობს. გადმოსახლნენ თუ არა სალიგვერდაში, რაჭველებმა ვენახი (რასაკვირველია, დაბლარი) გააშენეს, მაგრამ სრულებით არ ივარგა დიდის ყინვა-სიცივის გამო. ბოლოს ზამთრობით დაუწყეს ვაზებს მიწაში ჩამარხვა, მაგრამ ვერც ამ საშუალებამ დაიხსნა რაჭველები უღვინობისაგან, რაიცა ღვინის სმას ნაჩვევს ხალხს ძალიან აწუხებს. გაჭირება მიჩვევს და გაქცევას გაჩვენებსო, ამ ანდაზისა არ იყოს, რაჭველებს უღვინობამ სხვა სასმელი მოაძებნინა. ეს სასმელი არაყია, რომელსაც ისინი სიმინდისაგან ჰხდიან. ხეხილი და ბოსტნეულობა სალიგვერდაში კარგი იცის.

სალიგვერდაში გეგმით გაყვანილის ქუჩის ერთის მხრით რაჭველები სცხოვრებენ და მეორე მხრით ოსები და სხვანი. ამ სოფელს ვაკე მდებარეობა აქვს. ასე თუ ისე რაჭველები კმაყოფილნი არიან, მხოლოდ იმათი უბედურება ის არის, რომ სკოლა არა აქვსთ და თავიანთს სამშობლოს ყოვლიფრით დაშორებულნი არიან.

*** დ. **ოქუმი**: ოქუმსა და საზოგადოდ სამურზაყანოში ძალიან დიდი სიცხეები დაიჭირა. გვგონებათ სექტემბრის დამლევი-კი არა, მაისის ან ივნისის თთვეებიაო. ყველა სამურზაყანოს სოფლებში მეტის-მეტად მოდებულია ციებ-ცხელება. ყანების ღლება ჯერ თითქმის არ დაუწყიათ. მოსავალი სიმინდისა შარშანდელზე ნაკლები არ იქნება. მხოლოდ ღვინის ხსენება არ არის. თითო კოკა თუ დააყენა მოსახლემ, ისიც დიდი საქმეა. ქურდობამ ძლიერ შეგვაწუხა. წუხელის ერთის ეზოდგან ოთხი ცხენი გაიყვანეს. ეს დალოცვილი პოლიციაც

---

სარგებლობის მაგივრად, ბევრს ზარალს მისცემს ხალხს. სადგომი სახლები ავადმყოფისათვის სრულებით არ ვარგა; რიგიანი სასმელ-საჭმელის შოვნას ტყუილად ნუ იფიქრებს ავადმყოფი, თუ საკუთარი მზარეული არა ჰყავს; სისუფთავის ხსენებაც არსად არის. რკინის წყლის აბანოზე მხოლოდ ის ითქმის, რომ იმისი პატრონი ჯიბეებს მაგრად იტენს და აბანოს ავ-კარგიანობას-კი სრულიად არ დაეძებს. აბანოში შემსვლელი სულ იმაზე ჰფიქრობს, არ გავცივდე როგორმეო, და სხვა და სხვანი.

ამას გარდა უექიმობა და უწამლობა ძალიან აწუხებს ავადმყოფებსთ და როცა მეტად გაუჭირდებათ, დ. ონს მიდიან მაზრის ექიმთან.

წელს უწერას ბევრი ხალხი მოაწყდა. ეს აიხსნება იმით, რომ ქუთაისიდგან კავკავამდე კარგი საეტლო გზა გაიყვანეს ამ უკანასკნელს დროს. ამ გზით ფოსტის ეტლები მარტო ონამდე დაიარება. ეტლი უწერამდის ამ ზაფხულში 40 მან. ღირდა.

უწერაში 116 კომლი მცხოვრებია, ყველანი ქართველები შთამომავლობით. მთელს სოფელში ხუთი კომლი აზნაურია, დანარჩენი გლეხობა. უმეტესს ნაწილს გლეხებისას ერთი გვარი აქვსთ, სახელდობრ მეტრეველი. სახლები უწერლებს უდგიათ ქვითკირისა, ოთხ კუთხი, მაღალი და დიდი, ძველს დროში აშენებული. თვითოეული ძველებური სახლი სამ-სართულიანია: ქვემო სართულში პირუტყვი ჰყავსთ, მეორე სართულში თვითონ სცხოვრებენ, მესამე ცალიერია. ძველს დროში ზემო, მესამე სართულს დიდი მნიშვნელობა ჰქონია; ამ სართულს გვერდებზე აქვს პატარა სარკმელები, სათოფურები, ანუ, როგორც უწერლები უწოდებენ, დუროები. როცა მტერი დაესხმოდა სოფელს, მცხოვრებნი ადიოდნენ მესამე სართულში და იქიდამ მტერს პასუხს აძლევდნენ. ზოგიერთის სახლიდგან გაყვანილია მიწაში ხვრელი ერთის ვერსის მანძილზე და, თუ საჭიროება მოითხოვდა, მცხოვრებნი იქიდგან გაიხიზნებოდნენ. ეხლა ქვითკირის სახლებს აღარ აშენებენ, თანდათან ვრცელდება ხის სახლები, როგორც ქვემო-რაჭაში. სახლებს უწერაში, როგორც ქალაქში, ერთი-ერთმანეთთან ძალიან ახლო აშენებენ. თითონ სახლები, პატარა ეზოები, კარ-მიდამო და ყველაფერი, რასაც-კი კაცის თვალი ჰხედავს, დიდს სიბინძურეშია! ყოველივე ნაგავსა და პატივშია ჩაფლული. გასაოცარი ის არის, რომ ისეთს უსუფთაობაში მცხოვრები ხალხი ჯან-საღად არის და სიკვდილი მათ შორის ისე ხშირი არ არის, როგორც ქვემო-რაჭის სოფლებში, სადაც უფრო სუფთად სცხოვრებენ. არა ხშირს სიკვდილს კაცისას აქ სასაფლაოც ამტკიცებს! თუ არა ეკკლესია, ვერც-კი მიხვდება კაცი, რომ იქ სასაფლაოა, ისეა ბუჩქებითა და მაღალის ბალახით დაფარული. უწერლების სიტყვით, ორასამი წლიწადი იქნება, რაც მათ არავინ გამოჰკლებია. ღრმად მოხუცებულებიც ცოტა არ არის აქ.

უწერლები უზომოდ მშრომელი ხალხია, მაგრამ სიღარიბე მაინც არა შორდება. უწერლების ეკონომიურის მდგომარეობისათვის „მჟავე წყალი" მოსწრებაა: მოსული ხალხი საზაფხულოდ ცოტა ფულს არა სტოვებს აქ. ზაფხულში აღებულის ფულით ისინი პასუხს აძლევენ ხელმწიფეს, მღვდელს, მწერალს, მტერსა და მოყვარეს. სახნავ-სათესი მიწა უწერლებს ძალიან ცოტა აქვსთ. წლის მოსავალი იმათ ექვს თთვეს თუ ჰყოფნისთ, ისიც კარგი. „სახნავი მიწა ცოტა გვაქვსო, წუწუნებენ ასე უწერლები: სათიბი, ტყე და მთა ჩვენი არ არის; მარტო წყალია ჩვენი, დანარჩენი სახელმწიფოსია და ჩვენ-კი არაფერი არ დაგვრჩაო".

უწერაში ხშირად ერთს ოჯახში 20—40 სულია და ყველანი დიდის თანხმობით ეწევიან ოჯახის უღელს. ძველს დროში ხშირად შეხვდებოდა კაცი ერთს ოჯახს, სადაც 60 სული ერთად იყო. გაყოფა, ერთმანეთის დაშორება ძალიან ეზარებათ აქაურებს. იმათ რომ ჰკითხოთ ამისი მიზეზი, გიპასუხებენ: „ადგილი ცოტა გვაქვს-და რო გავიყოთ, სად უნდა წავიდეთ?! მაინც ჩვენ რო ერთმანეთს შევითვისებთ, ისე ბარის კაცებს არ შეუძლიანთ".

უწერლების ოჯახში კაცი შენიშნავს ერთს სასიამოვნო მოვლენას: მოხუცს დიდის პატივის ცემით ეპყრობიან. შეიქნება თუ არა ოჯახის უმფროსი 50 წლისა, იმას ხელს აღებინებენ ყველა მძიმე მუშაობაზე. ქვემო-რაჭაში-კი მოხუცს მანამდე ამუშავებენ და არ მოეშვებიან შვილები, სანამ წელს არ მოსწყვეტენ. უწერაში ქალი და კაცი თითქმის თანასწორად ეწევა შრომას.

**

სოფელი გლოლა ჰშორავს უწერას 12 ვერსის მანძილით; ხოლო ამ სოფლიდამ მამისონის უღელტეხილამდე 12 ვერსია. ოსეთის მხრისაკენ გლოლა უკანასკნელია ზემო-რაჭაში. გლოლა სიდიდით უწერაზე ბევრად ნაკლებია: აქ 27 კომლი მცხოვრებია. ეს სოფელი, რადგან მოშორებით მდებარეობს სხვა სოფლებთან, ისეთს საზოგადოებას შეადგენს, რომელსაც თავისი საკუთარი მამასახლისი და მწერალი ჰყავს. სკოლა, როგორც უწერაში, არც აქ არის. უწერლებისა რა მოგახსენოთ და გლოლელებს-კი, თუმცა-კი რიცხვით ნაკლებნი არიან, შეუძლიანთ ერთი სკოლა შეინახონ, რადგანაც ისეთი შეძლებული სოფელი, როგორიც გლოლაა, მეორე სხვა არ არის ზემო-რაჭაში. სწავლა-განათლების მაგივრად გლოლელები აზნაურობას ეძებენ; ოდესმე ჰქონიათ მათ აზნაურობის სიგელი, როგორც გადმოგვცა ერთმა მათგანმა, მაგრამ დასწვიათ. გლოლელებს ბატონი არასოდეს არა ჰყოლიათ; ამას თვითონ გლოლელების ხასიათი და ყოფა-ქცევაც ამტკიცებს, ბატონ-ყმობისა და დაჩაგრულობის ნიშანი სრულიად არ ეტყობათ, როგორც რაჭის სხვა სოფლებში. გლოლელები უფრო ხევსურებს წააგვანან ხასიათით.

მთელს სოფელში მხოლოდ ერთად-ერთი კაცია სკოლაში ნამყოფი და წერა-კითხვის მცოდნე; ეს კაცია ამ სოფლის მწერალი, რომელსაც კავკავში მიუღია სწავლა. გლოლელებს გადაღმა ოსებთან ხშირი მისვლა-მოსვლა აქვსთ. ისინი ხშირად ათხოვებენ ერთმანეთზე ქალებს და გლოლაში ოსური ბევრმა იცის. გლოლელების ფერ-ხორცსა და ჯან-მრთელობას ბევრი ქალაქის ჩაყვითლებული მკვიდრი ინატრებს. ჰაერი აქ ძალიან საღია, წყლები აქაც რიონისაა. რიონი თუმცა იქვე გვერდით ჩამოუდისთ გლოლელებს, მაგრამ სასმელად და სხვა-და-სხვა საჭიროებისათვის რკინის წყალს ჰხმარობენ. გლოლის ხალხი და ბუნება სწორედ კარგი სანახავია, ხოლო ერთი რამ სენი სჭირს ამ სოფელს. ეს სენი გახლავსთ უსუფთაობა და სიბინძურე. ბევრი გვინახავს ბინძური სოფელი, მაგრამ გლოლასთანა-კი არსად შეგვხვედრია. აქ მოსახლეები ერთი-ერთმანეთს მჭიდროდ მიჰკვდლებიან და ერთის მკვიდრის აყროლებულ-აქოთებული კარ-მიდამო მეორისას გადასჩერებია, ამ მეორისა მესამისა და სხ. როცა შესდიხარ ამ სოფელში, ცხვირს უნებლიედ უჭერ ხელს და გიკვირს, რომ აქ სოფელია. რაც ადამს შემდეგ ნაგავი და პატივი მოგროვებულა, ყველა გლოველებს ცხვირ წინა აქვსთ და ისე შესჩვევიან, რომ არაფერს ყურადღებას არ აქცევენ. მაგრამ ეს ბინძურობა არც გლოლელებს უჯდებათ მაინცა და მაინც ძვირად.

ი. ხოტეველი

რაღაც ნაირად მიჩუმდა. გასცემს ბრძანებას მამასახლისებზე და საქმეს ამით ათავებს. კარგი იქნებოდა, რომ ზოგჯერ მთავრობის კაცებიც გარჯილიყვნენ და გასულ-გამოსულიყვნენ სოფლებში, რომ იქნება ცოტათი მაინც ფრთა შეჰკვეცოდათ ქურდებს...

*** გაზეთი „Новое Обозрѣніе“ გვატყობინებს: არმიის სობოროს საფუძვლის ჩაყრა იმიტომ არ შესდგა, რომ, როგორც აღმოჩნდა, ამ ოც-და-სამის წლის წინად საფუძველი უკვე ჩაუყრიათო.

## უცხოეთი

გერმანია. სექტემბრის დამლევს იმპერატორი გერმანიისა მიბრძანდა ვენაში. ვენა დიდის ამბით დახვდა იმპერატორს. აი რასა სწერს ამაზე გაზ. «Neue Freie Presse»: დიდის ამბით დაუხვდნენ იმპერატორ ვილჰელმ II-ეს, ჩვენის მონარქის მოკავშირეს. ათი-ათასობით დახვდა ხალხი და გულითა და სულით მიესალმა გერმანიის იმპერატორს. ხალხი კიდევ უფრო მეტი იქმნებოდა, რომ წინადვე ტყუილი ხმა არ გავრცელებულიყო, ვითომ ჯარები იდგება ქუჩებში და არავის არ გაატარებენო.

წინა ღამეს წვიმა მოვიდა, მაგრამ დილის მზემ მალე გააშრო ქუჩები. დარი ჩინებული იყო. დილის 7 საათიდამვე დაიწყო დენა ხალხმა. ჯარმა მარჯვენა მხარე დაიჭირა ქუჩისა სადგურამდე, მარცხნივ აქა-იქ იდგნენ [illegible] და არტილერიის ჯარის-კაცნი. ქუჩა მშვენივრად იყო მორთული სხვა-და-სხვა გვარის ბაირაღებით; ამ ბაირაღებში ერია ბაირაღები ავსტრიისა, ვენგრიისა, ბელგიისა, ბავარიისა და გერმანიისა; აივნები და ფანჯრები აჭრელებული იყო ხალიჩებით. ერთს მაღაზიას თავისს დიდს ფანჯრებში გაემართა ამფითეატრი და შიგ ისხდნენ ლამაზად დართულნი ქალნი, ისე რომ ცხოველს სურათსა ჰგვანდა იქაურობა. ყავახანები სავსე იყო ხალხით. ქუჩებზე კაცი ვერ გაივლიდა მჭიდროობისაგან. ფანჯრებსა, აივნებსა და ჭიშკრებში ბუზივით ირეოდნენ დიდნი და პატარანი.

9 საათზე გაემგზავრნენ სადგურზე იმპერატორის ვილჰელმის დასახვედრად იმპერატორი ფრანც-იოსები, მემკვიდრე პრინცი რუდოლფი, ერცჰერცოგები, წევრნი იმპერატორის სახლეულობისანი, ბურგომისტრი, რომელიც ყველაზე ადრე მივიდა, ელჩი გერმანიისა სეჩენი, კორპუსის კომანდირი კიონიგი, ბარონი პოსინგერი, პრეზიდენტი პოლიციისა ბარონი კრაუსი. მინისტრები, გენერლები, კარის-კაცნი არა ყოფილან ვოგზალზე.

როცა მატარებელი გაჩერდა, მიეგებნენ იქ მყოფნი და სალამი მისცეს იმპერატორს, რომელიც იდგა ვაგონის ფანჯარასთან და თავი დაუკრა ყველას. მუსიკამ დაიწყო გრიალი. იმპერატორი ვილჰელმი გადმოვიდა საჩქაროდ, მივიდა ფრანც-იოსებთან და გადაეხვია. ფრანც-იოსებიც სიხარულით მოეხვია და ჩაიკრა გულში იმპერატორი ვილჰელმი. სამჯერ-ოთხჯერ აკოცეს ერთმანერთს. მერე მივიდა ვილჰელმთან მემკვიდრე პრინცი რუდოლფი, დაბლა დაუკრა თავი და ხელი გაუწოდა. ვილჰელმმა ჩამოართვა ხელი და მოეხვია რუდოლფსაც.

მერე იმპერატორები მიუახლოვდნენ საპატიო ყარაულს. ვილჰელმი კარგს გუნებაზედ ბრძანდებოდა და მხიარულად ლაპარაკობდა. არ იყო ისე მოღრუბლული და დაფიქრებული, როგორც მუდამ არის ხოლმე. იმისს ამალაში მოსჩანდა ახოვანი გრაფი ჰერბერტ ბისმარკი, რომელსაც ოქრომკედით ნაკერი მდიდრული მუნდირი ეცვა. გრაფი მამას საკვირვლადა ჰგავს; იგივე შუბლი აქვს, ცხვირი და დიდი ულვაშები.

როცა რკინის გზის სადგურიდამ წამობრძანდა დიდი სტუმარი და იმისი დიდნი მასპინძელნი, ხალხი განუწყვეტლივ იძახდა „Hoch!“-ს; კაცნი იქნევდნენ ქუდებსა და ქალნი ხელსახოცებს...

ინგლისი. ირლანდიაზე ლაპარაკი, წიგნის წერა და ბეჭდვა გაჩაღებულია ინგლისში. ელიან ერთს ახალს წიგნს „ორასის წლის ისტორია ირლანდიისა“ (1691—1870 წ.), მაგრამ ვიდრე ეს წიგნი დაიბეჭდებოდეს, ბევრს ლაპარაკობენ ამ ჟამად დილონის წიგნის გამო. დილონის წიგნი დაწერილია ჯონ მიჩელის ბიოგრაფიის თაობაზედ. ჯონ მიჩელი პირველი კაცი იყო, რომელმაც დაიწყო ზრუნვა ირლანდიისათვის. ისე იტაცებენ ამ წიგნსა და კითხულობენ, თითქო რომანიაო. მკითხველს თვალ წინ ეხატება ის დრო ირლანდიისა, როცა ყმაწვილმა კაცებმა ირლანდიის მამულიშვილებმა შეადგინეს წრე, აირჩიეს მეთაურად ჯონ მიჩელი და დაუწყეს კიცხვა დანიელ ო'კონელს: შენ მეტად მშვიდობიანის გზით გინდა ირლანდიის გაბედნიერებაო. წიგნის დამწერი დილონი ამბობს ამაზე, რომ მიჩელის მოქმედება არ იყო მოქმედება კეთილ-გონიერულიო, მიჩელს საშინლად ეჯავრებოდა ინგლისელები და უფრო იმიტომ შეიჯავრა და შეიძაგა, რომ 1848 წელს შემდეგ, როცა ირლანდიაში სიმშილი ჩამოვარდა, ინგლისელები იხარებდნენ და იშვებდნენ: თვით ღმერთი სჯის ირლანდიელებსაო. მიჩელს 14 წლით კატორგა გადაუწყვიტეს. ჯერ ბერმუდის კუნძულებზე გაჰგზავნეს, მერე კი იმედის კონცხზე—мысъ Доброй Надежды და ბოლოს კიდევ ვანდიმენის ქვეყანაში. აქ თავისუფლად იყო, რადგან პატიოსანი სიტყვა ჰქონდა მიცემული, რომ არსად არ გავიქცევიო. ერთხელ ჯონ მიჩელი ცხენით მივიდა პოლიციაში. გარს თავისი ცხენოსანი ამხანაგები ერტყა. მიჩელი ჩამოხტა ცხენიდამ, გადასცა პოლიციელს ბარათი და უთხრა: შენს მთავრობას მიართვიო. ამ წერილში მიჩელი ამბობდა, ჩემი პატიოსანი სიტყვა უკან მიმაქვს და გატყობინებთ ამ ამბავსაო. პოლიციას გონება დაებნა, მეტადრე იმისი შეიარაღებული ამხანაგები რომ დაინახა. მიჩელი კვლავ მოაჯდა ცხენსა და გაჰქუსლეს: ყველაფერი მზად იყო გასაქცევად. გაიქცნენ ტაიტის კუნძულებზე და მერე იქიდამ ამერიკაში გადავიდნენ. აქ, ამერიკაში, მიჩელი ილვწოდა ირლანდიის თავისუფლებისათვის, მაგრამ ამასთანავე უცნაური საქმე მოსდიოდა: ყმობასა და მონობას ზანგებისას არ უარ-ჰყოფდა. „ოღონდ-კი ირლანდიაშიო,—იტყოდა ხოლმე,—რესპუბლიკა იყოს და დეე თუნდა ყმობასა და მონობაზე დამკვიდრდესო“. რასაკვირველია, მაშინ სხვა დრო იყო, მამულიშვილობაც ახალი საქმე იყო და პატრიოტებს ეძნელებოდათ ნათელი აზრები შეემუშავებინათ საზოგადო საქმეების შესახებ. როცა ამერიკაში სამხრეთმა და ჩრდილოეთმა ომი დაიწყეს, მიჩელი სამხრეთის მხარეზე იყო. იმისი ორი შვილი ამ ომში მოკვდა. თვითონაც დაიჭრა, ტყვედ იქმნა წაყვანილი და ფენიანებს რომ არ დაეხსნათ, შეერთებული შტატები აუტეხდნენ რასმე. ავადმყოფი და სასოება-დაკარგული წამოვიდა პარიჟში, მაგრამ მეთაურობა ფენიებისა არ იტვირთა. ბოლოს მიჩელს ელირსა არა თუ ინგლისის ნახვა, არამედ თავისის საყვარელის ირლანდიისაცა. გამოვიდა კანდიდატად არჩევანებში და გაიმარჯვა კიდეც, მაგრამ მოხუცებულმა კაცმა ველარ აიტანა საპოლიტიკო მოღვაწეს გულის ხეთქა და ორს დღეს შემდეგ გარდაიცვალა. შთამომავლობას დარჩა სახსოვრად სახე ამ გულ-მტკივნეულის, აღტაცებულის მამულიშვილისა.

ეხლანდელნი მამულიშვილნი ირლანდიისანი ასეთი ატაცებულნი და მოუფიქრებლად მოქმედნი აღარ არიან. იმათი მოქმედება ფრიად მოსაზრებულია და ფრთხილი; მათი აზრი მეტად მუშაობს და ამიტომ იმისთანა უცნაურობა აღარ ემართებათ, რომ თავისუფლებისთვის იბრძოდნენ და თან ყმობა-მონობას არ უარ-ჰყოფდნენ. დისციპლინასაც დიდად შეეჩვივნენ დასთა ბრძოლის გამო. ეს დისციპლინა ეტყობათ თუნდ იმაშიაც, რომ კრებას კრებაზე ჰმართავენ და უხსნიან ხალხს ყოველ გარემოებას; მეთაურ კაცებს დიდის ამბით ეგებებიან, თავდაჭერილობით იქცევიან, როცა სამინისტრო უწყალოდ ერეკება ფერმერებს, თითქო განგებ უნდა არეულობა მოახდენინოს ხალხსა და მერე გაუსწოროს ანგარიშიო. მეორეც ისა, მათი ფიქრი და საქციელი ჰმოქმედებს მთავრობაზე. იმათის ზედმოქმედებით იყო, რომ გაანთავისუფლეს დილონი, რომ კარგად წავიდა პარნელის საქმის გამოძიება და სხვანი („Р. Вѣд.“-ი).

## წვრილი ამბები

ჟულ ტელიე, რწმუნებული ვიქტორ ჰიუგოს სახლობისა, რათა პოეტის სიკვდილს შემდეგ დარჩენილი ქაღალდები და ხელნაწერები გაარჩიოს, მის მიერ გარჩეულ ხელნაწერების შესახებ შემდეგს ცნობებს აუწყებს პარიჟის გაზეთებს. ცნობილია, რომ ჰიუგოს სიკვდილს შემდეგ დაიბეჭდა ხუთი ნაწილი იმის თხზულებათა. გამოუცემელნიც რამდენსამე რიგად განიყოფება. სხვათა შორის ჯერ კიდევ გამოსაცემია ჰიუგოს სამგზავრო შენიშვნები ინგლისს, ბელგიასა, ჰოლანდიასა და ისპანიაზედ; არის აგრეთვე მეტაფიზიკური თხზულება «Essai d'explication»-ი. პოეტის დიდ-ძალ მიწერ-მოწერიდგან უნდა დაიბეჭდოს მხოლოდ ის წერილები, რომლებშიაც სჯა და ბაასია სალიტერატურო საგანზე. დრამატიულ თხზულებათაგან დაუბეჭდელია დრამა „Jumeaux“-ის $2\frac{1}{2}$ მოქმედება, ერთი ერთ-მოქმედებიანი კომედია, «Maglia», კომედიავე ლექსად და სხვანი მრავალნი. საერთოდ რომ ითქვას, ჰიუგოს გამოუცემელი თხზულებანი ათ ნაწილად უნდა დაიბეჭდოს ხუთის წლის განმავლობაში.

— მემარხულე ზუჩის კვლავ დაუწყია საჯაროდ 30 დღით მარხულობა ბარსელონაში. ამას წინად მაღრისად სადილი უჭამია უკანასკნელად. მემარხულეს თვალ-ყურს ადევნებს კომისია, რომელიც ექიმთაგან არის შემდგარი. ცნობისმოყვარემ, ვისაც მემარხულეს ნახვა სურს, $12\frac{1}{2}$ კაპ. უნდა გადაიხადოს.

— საკვირველი წვერი აქვს თურმე ერთ ვიღაც ჟულ დიუმონს, რომელიც ამ ჟამად ლილის საპატიმროშია დატუსაღებული. ეს კაცი შუატანისაა, 1,62 მეტრის სიმაღლისა, ხოლო წვერი 1,86 მეტრი აქვს. წლოვანობით 43 წლისაა. ამ წვერს იგი იკრავს და ნაწილს ჟილეტში იმალავს. ციხეში ყოფნა ძალიან ემძიმება, რადგან თავისს წვერს ისე ვერ უვლის, როგორც ესურვება: იგი ამ წვერის მოვლასა და ფაქიზში ატარებს თურმე თავისუფლად ყოფნისას უმეტესს დროს. ეგება თუ რომ მომიხდეს საპატიმროში ყოფნაო (ორის თვით არის დამწყვდეული)—ამბობს იგი,—ვერ ვიცოცხლებო.

— ამ უკანასკნელს დროს კვლავ გავრცელებულა „ცოცხალის საქონლით“ ვაჭრობა. მაგალითებრ, სტამბოლიდგან ამბავი მიუღიათ, რომ ამას წინად დიდძალი ახალგაზდა ქალები მოიყვანეს განსაკუთრებით გალიციიდგანაო. ეს მოვაჭრენი რავი მიიტყუებენ საწყალს ქალებს, ათასის მიხვეულ-მოხვეულის გზით ატარებენ თურმე, ასე რომ იმათი შეპყრობა უოვლად შეუძლებელია. სტამბოლში მთელი ბირჟა არსებობს თურმე ქალების სასყიდლად, სადაც თითო ქალი 300—500 მანათად ისყიდება. საუკეთესო ლამაზის ქალის ფასი ხშირად 2,000 მანათამდე აიწევს ხოლმე. ამ „ცოცხალის საქონლით“ მოვაჭრეთ თავიანთი საკუთარი ენა აქვსთ თურმე, როცა აქეთ-იქით ჰგზავნიან [illegible] ტელეგრამებს. მაგალითებრ, ლამაზის ქალების გაგზავნის დროს თავიანთს აგენტებსა სწერენ დეპეშით: „მოელოდეთ თორმეტს ცალს ვერცხლის კოვზს“. შუათანა ღირსებისას სილამაზით „ფქვილსა“ და „კარტოფილს“ ეძახიან.

— ს.-ყოზეფიდგან, რომელიც მისურის შტატში იმყოფება, სწერენ, რომ ამ ჟამად ჩვენს ქალაქში ერთი ახირებული ქურდობა გავრცელდა: ქუჩებსა და სახლის თავ-მოსაყარს ადგილებში დედაკაცებსა და ყმაწვილს ქალებს თმებსა სჭრიანო. დიდ-ძალი ქალები, რომელთაც თავისის მშვენიერის თმით თავი მოჰქონდათ, გამოაკლდნენ ამ დედათა ბუნებრივს სამკაულს და ამ ჟამად გაკრეჭილები დადიან. ქურდები ისე შესჩვევიან ამ ახირებულს ხელობას და ისეთის ხელოვნებით აკეთებენ თავიანთს საქმეს, რომ ჯერაც ვერავის აღმოუჩენია. ამას წინად, მაგალითებრ, რომელიღაც არტისტებს წარმოდგენა გაემართნათ, ხალხი დიდ-ძალი შეკრბა იმათ საყურებლად და ამ დროს რამდენსამე ყმაწვილს ქალს ისე მოსჭრეს თმები, რომ არა გაუგიათ-რა.

— ამ ორის კვირის წინად უცდიათ ადგზნებულის ცეცხლის გაქრობა ერთ გვარის ავტომატიურის აპარატის შემწეობით, რომელიც ამერიკაშია მოგონილი. ეს აპარატი უველა სადგომში გაკეთდება და მოძრაობაში თავის თავად მოდის, გათბება თუ არა. თუ გათბა და წყალის შხაპუნი დაიწყო, ამ დროს ძალიან ჰხმაურობს და ფეხზედ დააყენებს სახლში მყოფთ. საცდელად განგებ ცეცხლი შეუკეთებიათ ერთის ფიცრის შენობისათვის, რომელიც ნავთოტებითა და ბურბუშელათი ყოფილა სავსე. რამდენსამე წამს შემდეგ აპარატს დაუწყია მოქმედება და ორის წუთის განმავლობაში ცეცხლი სრულიად ჩაუქრია. ინგლისის გაზეთები ამბობენ, რომ ამ აპარატის ბრწყინვალე მომავალი მოელისო.

— ინგლისის ერთს მამულში შემდეგი ამბავი მომხდარა. ერთის მამულის მეპატრონეს ლორდს თავისს სახლში დიდი ნადირობა გაუმართავს. როცა ეს შექცევა გაუთავებიათ, ახალგაზდა მეუღლეს ლორდისას გამოუცხადებია სტუმრებისათვის: „ჩემს ქმარს სირბილი უყვარს; ამიტომ ადგილი დავნიშნოთ და ვინც უფრო მარდად ირბენს, იმას ნებას მივცემ მაკოცოსო“. ყმაწვილი კაცები გამწკრივებულან რიგზედ, ქალს სამჯერ დაუკრავს ტაში და დაუწყიათ სირბილი. ათს წუთს შემდეგ ამ ქალის ქმრის ერთი ნათესავი მისულა წინ და დაპირებული ჯილდო მოუთხოვნია. ლორდის ცოლს თავისი დაპირებული სიტყვა აუსრულებია. არავის შეუნიშნავს, რომ ამ დროს ქმარი ლორდი ალკოტი სადღაც გამქრალა და მხოლოდ სადილის დაწყების დროს მსახურთ გამოუცხადებიათ, რომ ლორდი ლონდონში წავიდა რაღაც საქმეებისათვისაო. ლონდონიდგან უმაწვილს ქალს ქმრის ვექილისაგან წერილი მიუღია, რომ თქვენმა ქმარმა საჩივარი შეიტანა და ჰსურს განგექორწილოთ, რადგან გიკოცნინებიათ სხვისთვისაო.

## აფხაზური ანდაზები *)

54, ალგაჟ სჭამთა ზმბაც, საყრა იმბანდაზ იჰვიტ.

ბებერმა სთქვა: ვისაც ჩემი სიახლე არ უნახავს, ნეტავი სიბერეც არ ენახაო.

55, ათაკვაჟ იყუნლშაზ არბალი ილცაგვიტ.

დედაბრისაგან დაწუნებული მამალმა წაართო.

56, ჩაქუ ლგურგა ლან დაგვიტ.

ჩაქუს დარდმა დედა წაიღო, ესე იგი ჩამის [illegible] ჭირი წაიღო.

57, ახაბჟ აფხე „ხაბჟ“ ვოვ იზჰოომ.

ქაჩალზე ადრე „ქაჩალს“ კაცი ვერ იტყვის.

58, აჩ ზნ ილაფსახოოიტ, ზნ იჰაფსახოოიტ.

ცხენი ხან ძაღლის ფასადა ღირს, ხან ლორისად.

59, აწბრა იზცმლზ იფნწა ითიაარიტ.

ქონდარი ვისაცა სძულდა, ცხვირში იმას ამოუვიდა.

60, აძ ეფნუუ აფან იდრვოიტ.

წყლის მახლობელმა ფონი იცისო.

61, აყა ატართა სოურ აჰრთა იშ სოურზ აჰვიტ.

კურდღელმა სთქვა: ბინა მქონდეს, საძოვარს ვიშოვნიდიო.

62, აბზია უნ აძ იათ, იძგომ.

კეთილი ჰქენი, წყალს გაატანე: არ დაიკარგება.

63, უვა უილწნდაზ უგვოხვოზარ, იკვადრ ახ ვაჰ.

თუ გინდა მოყვარეს განეშორო, უნაგირის წინა კოპული სთხოვე.

64, ვაფხე იკაჰავო უიხმჩჩან.

შენს წინაშე ვინც დაეცეს, ნუ დასცინი.

65, აბნატ არბალი იაან ავნტ არბალი იკანაცოონ.

გარეული მამალი მოვიდა და შინაურს აგდებდა.

66, აწლა შათალა იგლოუპ, აოვ ვალა დყოუპ.

ხე ფესვითა სდგას, ადამიანი მოყვრითა.

67, აგა-ბლიცი აშხა-ბლიცი ეინიოვოიტ.

მთისა და ბარის ფოთლები ერთმანეთს შეეყრება.

68, აბვიტ ავნ ივნაზგი აბვ-წმლკ იგხვიტ.

სპილენძის სახლში მცხოვრებსაც ერთი ლური სპილენძის ლურსმანი დააკლდა.

69, აფშა იაანაგაზ აძ იაგვიტ.

ქარის მოტანილი წყალმა წაიღო.

(დასასრული იქნება)

*) იხ. „ივერია“ № 203.

# დეპეშა

30 სექტემბერი

**პეტერბურგი.** გამოცხადებულია მინისტრთა დადგენილობა, რომ კასპიისა და შავის ზღვის ნავთის მილის საზოგადოების შედგენის ვადა გადაიდვას 1889 წლის 2 იანვრამდე.

**ალაჰ-აბადი.** აელანის სხვა-და-სხვა ტომთ ამბოხება მოახდინეს ემირის წინააღმდეგ.

**რომი.** გუშინ სალამოს შეიპყრეს ერთი პატარა ბიჭი, რომელიც ავრცელებდა პროკლამაციებს, ფრანგულადა და იტალიურად დაბეჭდილს. ამ გვარისავე დანაშაულობისათვის შეიპყრეს ალბანი, რედაქტორი რესპუბლიკელ-სოციალურ გაზეთისა.

ნაშუადღევის პირველს საათსა და ნახევარზე იმპერატორი წავიდა ვატიკანში საკუთარის ეტლით. თან მისდევდნენ ეტლებითვე გენერლები და ფლიგელ ადიუტანტები, გრაფ ბისმარკი და ყველა წარჩინებულნი კაცნი ამალისანი. იმპერატორმა დარბაზობა გაუწია პაპს; შემდეგ პაპთან მივიდა პრინცი ჰენრიხი. მათნი უდიდებულესობანი აქედგან წავლენ გერმანიის საელჩოში.

**ბელგრადი.** სერბიის დედოფალი ამ დღეებში წავა ბუქარესტიდგან იასში და აქედგან რამდენსამე დღეს შემდეგ წავა რუსეთს.

**პარიჟი.** მმართებლობაში დიდი უთანხმოებაა კონსტიტუციის გადასინჯვის თაობაზე.

1 ოქტომბერი

**პეტერბურგი.** 27 და 28 სექტემბერს ჩვეულებრივის წესისა და რიგისამებრ გადასცეს სახელმწიფო ბანკს შესანახად 15 მილიონი ოქროს ფული, რომლის სამაგიეროდ უნდა გამოსცენ იმდენისავე მილიონის ქაღალდის ფული.

დიდი მთავარნი სერგეი და პავლე ალექსანდრეს ძენი და მისი უმაღლესობა ელისაბედ თეოდორეს ასული გუშინ დიდის ამბით მივიდნენ იერუსალიმს და პირდაპირ წავიდნენ უფლის საფლავის ტაძარში. მათნი უმაღლესობანი იერუსალიმს დარჩებიან 6 ოქტომბრამდე.

**რომი.** კრისპიმ გაუგზავნა ბისმარკს დეპეშა. კრისპიმ დეპეშაში გამოსთქვა იტალიის ერის გრძნობა გერმანიისადმი. კრისპი სურვილს აცხადებს, რომ გერმანიისა და იტალიის კავშირმა განამტკიცოს ორისავე ერის სახელი და დაამკვიდროს ევროპის მშვიდობიანობა. ბისმარკმაც შესაფერი პასუხი გასცა. ამ ნაირად იტალიისა და გერმანიის კავშირი უფრო მკვიდრი შეიქმნა.

გუშინ კვირინალში სადილზე მეფე ჰუმბოლტმა დალია გერმანიის იმპერატორისა, იმპერატრიცისა და ჯარის სადღეგრძელო. იმპერატორმა მადლობა გადაუხადა. იმპერატორმა სთქვა, რომ გერმანიამ და იტალიამ თავის სახელოვან ხელმძღვანელთა წყალობით ერთობა მოიპოვეს. ეს იმისი საბუთი არისო, სთქვა იმპერატორმა: რომ ორივე ერი ერთმანეთს ხელს შეუწყობენ თავიანთის ერთობისა და ევროპის მშვიდობიანობის დასაცველად. ბოლოს იმპერატორმა მადლობა მოახსენა კარგის მასპინძლობისათვის და დალია მეფისა, დედოფლისა და იტალიის ჯარის სადღეგრძელო.

**ბელგრადი.** მეფემ გარაშანინს უბრძანა სამეფოდგან წასვლა, მაგრამ გარაშანინი ურჩობს.

2 ოქტომბერი

**პეტერბურგი.** გუშინ სერგეის უდაბნოში დაასაფლავეს გრაფი ადლერბერგი. დასაფლავებაზე დაესწრნენ დიდი მთავრები, სამოქალაქო და სამხედრო უწყებათა წარჩინებული კაცები და სადიპლომატიო კრებული. მათ უდიდებულესობათა გამოგზავნეს მშვენიერი გვირგვინი თეთრისა და წითელის ვარდებისა; მეორე მშვენიერი გვირგვინი დასდო კუბოზე მისმა უმაღლესობამ მარია პავლეს ასულმა.

„Journal de St.-Pétersbourg“-ი ამბობს, რომ ტყუილია ის ამბები, ვითომ მაკედონიის არეულობა რუსეთის ინტრიგის საქმეაო. არც ბოლგარია დაიჯერებს ამ ამბავს, რადგანაც კარგად იცის, რომ რუსეთს არავითარი საგენტო არა აქვს ბოლგარიაში, რომელიც საკუთარს თავს მიანდოო. ჩვენ ამ ამბავს სრულიადაც არ მოვიხსენიებდითო, ამბობს გაზეთი: თუ რომ იგი არ დაებეჭდა ისეთს გულ-დამჯდარს გაზეთს, როგორიც ვენის „Fremdenblatt-ი“ არისო.

**ელისავეტგრადი.** გუშინ გახსნეს რომნო-კრემენჩუგის რკინის გზა.

**ლონდონი.** გუშინ აქაურს გაზეთებში დაბეჭდილი იყო ექიმის მეკენზის წიგნიდგან ამოღებული ცნობები იმპერატორის ვილჰელმის შესახებ. წიგნი დაწერილია პროფესორის ბერგმანის წინააღმდეგ; მეკენზი ბერგმანს სწამებს მილის უხერხულად ხმარებას, რის გამოც იმპერატორი უდროოდ გარდაიცვალაო. ბერგმანი აპირებს საჩივარი გაუმართოს მეკენზის ვითომ-და იმიტომ, რომ მეკენზი ცილსა მწამებსო.

**რომი.** გუშინ აქ დიდი დღესასწაული იყო. კაპიტოლიაში გამოჰკიდეს ფიცარი, რომელზედაც აწერია: «გერმანიის იმპერატორის მობრძანების სახსოვრად». აგრეთვე კონცერტი იყო გამართული. კონცერტზე სამი ათასამდე კაცი დაესწრო. კაპიტოლია ჩინებულად იყო განათებული ელექტრონით.

პეტერბურგის ბირჟა, 30 სექტემბ.

| | მყიდველნი მან. კ. | გამყიდველნი მან. კ. | გაყიდულნი მან. კ. |
|---|---|---|---|
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 7 45 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | 148 |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | — „ | 1 16 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — „ | — „ | 263 |
| —მეორისა . . . . . | — „ | — „ | 238 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | 97 „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | 97 „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — „ | — „ | — „ |

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 ოქტომბრიდამ 1 ნოემბრამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 კაპ. | |
| პური 1-ის ხარისხისა. | 3½ „ | |
| „ 2 „ | 3 „ | |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 „ | |
| „ „ 2— | 4 „ | |
| „ „ 3 „ | 3½ „ | |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | |
| 1-ლის ხარისხისა . . | 5 „ | |
| მე-2 ხარისხისა . . | 4 „ | |
| მე-3 — . . . | „ „ | |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 „ | |
| „ 2 „ | 7 „ | |
| სუკი . . . . | 14 „ | |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 „ | |
| ღორის ხორცი . . . | „ „ | |
| „ 2 „ | „ „ | |

## მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

| სტანციები | მოდის საათი. | მოდის წამი. | გადის საათი. | გადის წამი. | სტანციები | მოდის საათი. | მოდის წამი. | გადის საათი. | გადის წამი. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დილით | | | | | დილით | | | |
| **ტფილისი** . | — | — | 8 | 49 | ბათუმი . . | — | — | 8 | 4 |
| ავჭალა . . | 9 | 9 | 9 | 11 | ქობულეთი. | 8 | 54 | 8 | 57 |
| მცხეთა. . . | 9 | 32 | 9 | 40 | ნატანები. . | 9 | 25 | 9 | 29 |
| ქსანი . . . | 0 | 03 | 10 | 05 | სუფსა . . . | 9 | 55 | 10 | 2 |
| კასპი . . . | 10 | 33 | 10 | 36 | ლანჩხუთი . | 10 | 35 | 10 | 39 |
| გრაკალი . . | 10 | 59 | 11 | 1 | ნიგოითი. . | 10 | 51 | 10 | 53 |
| **გორი** . . . | 11 | 25 | 11 | 40 | საჯავახო. . | 11 | 14 | 11 | 16 |
| ქარელი . . | 12 | 08 | 12 | 11 | **სამტრედია**. | 11 | 33 | 11 | 51 |
| გომი . . . | 12 | 37 | 12 | 41 | კოპიტნარი . | 12 | 13 | 12 | 16 |
| **ხაშური** . . | 11 | 02 | 1 | 17 | **რიონი**. . . | 12 | 47 | 1 | 2 |
| სურამი . . | 1 | 29 | 1 | 32 | აჯამეთი . . | 1 | 15 | 1 | 18 |
| ფონი. . . | 2 | — | 2 | 03 | **ყვირილა** . . | 1 | 58 | 2 | 10 |
| ბეჟათუბანი. | 2 | 56 | 3 | 16 | ძირულა . . | 2 | 48 | 2 | 50 |
| მარელისი . | 3 | 45 | 3 | 48 | ბელაგორი . | 3 | 17 | 3 | 20 |
| ბელაგორი . | 4 | 15 | 4 | 18 | მარელისი . | 3 | 47 | 3 | 49 |
| ძირულა . . | 4 | 45 | 4 | 48 | ბეჟათუბანი. | 4 | 18 | 4 | 37 |
| **ყვირილა**. . | 5 | 26 | 5 | 40 | ფონი . . . | 5 | 30 | 5 | 34 |
| აჯამეთი . . | 6 | 14 | 6 | 16 | | საღამოთი | | | |
| | საღამოთი | | | | სურამი. . . | 6 | 2 | 6 | 5 |
| **რიონი** . . | 6 | 29 | 6 | 44 | **ხაშური** . . | 6 | 17 | 6 | 32 |
| კოპიტნარი . | 7 | 08 | 7 | 10 | გომი . . . | 6 | 50 | 6 | 54 |
| **სამტრედია**. | 7 | 29 | 7 | 49 | ქარელი . . | 7 | 16 | 7 | 19 |
| საჯავახო. . | 8 | 05 | 8 | 07 | **გორი** . . . | 7 | 44 | 7 | 54 |
| ნიგოითი. . | 8 | 27 | 8 | 30 | გრაკალი . | 8 | 15 | 8 | 17 |
| ლანჩხუთი . | 8 | 42 | 8 | 46 | კასპი . . . | 8 | 40 | 8 | 43 |
| სუფსა . . . | 9 | 19 | 9 | 27 | ქსანი. . . . | 9 | 7 | 9 | 9 |
| ნატანები. . | 9 | 52 | 9 | 55 | მცხეთა . . | 9 | 28 | 9 | 34 |
| ქობულეთი. | 10 | 22 | 10 | 25 | ავჭალა . . | 9 | 52 | 9 | 54 |
| ბათუმი . . | 11 | 13 | — | — | **ტფილისი** . | 10 | 15 | 10 | 46 |

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათზედ და 50 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წამზედ.

ტფილისსა და სურამ შუა

| | დილით | | | | | ღამით | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ტფილისი** . | — | — | 3 | 21 | სურამი . . | — | — | 2 | 59 |
| ავჭალა . . | 3 | 46 | 3 | 49 | **ხაშური** . . | 3 | 11 | 3 | 27 |
| მცხეთა . . | 4 | 19 | 4 | 25 | გომი . . . | 3 | 50 | 3 | 55 |
| ქსანი . . . | 4 | 49 | 4 | 52 | ქარელი . . | 4 | 24 | 4 | 31 |
| კასპი . . . | 5 | 24 | 5 | 29 | **გორი** . . . | 5 | 4 | 5 | 19 |
| გრაკალი . . | 6 | — | 6 | 3 | გრაკალი . . | 5 | 46 | 5 | 51 |
| | საღამოთი | | | | | დილით | | | |
| **გორი** . . . | 6 | 31 | 6 | 45 | კასპი . . . | 6 | 18 | 6 | 24 |
| ქარელი . . | 7 | 18 | 7 | 24 | ქსანი . . . | 6 | 55 | 6 | 59 |
| გომი . . . | 7 | 53 | 8 | 1 | მცხეთა. . . | 7 | 24 | 7 | 32 |
| **ხაშური** . . | 8 | 54 | 8 | 38 | ავჭალა . . | 7 | 55 | 7 | 58 |
| სურამი . . | 8 | 50 | — | — | **ტფილისი**. . | 8 | 24 | — | — |


ამიერ-კავკასიის უმთავრესი ცნობათა კანტორა

(Закавказская центральная справочная контора)

შ. ვ. დავიდოვისა.

ერთად-ერთი კანტორა ქ. ტფილისში, რომელიც მთავრობისაგან ნება-დართული და რომელსაც აქვს შეტანილი სხვანში.

კანტორასა აქვს საგნად შეჰკრიბოს და მოიპოვოს ყოველ გვარი ცნობა, რომელიც-კი საჭიროა და სასარგებლო ვისთვისმე კანტორას ეცოდინება, სად, რომელი, ვისი და როგორი მამული ისყიდება, გირავდება, ან იჯარით და ქირით იძლევა და რა ფასად; ვის უნდა სახლი დაიქირაოს, ან გააქირაოს ქალაქში, ანუ ქალაქ გარეშე; სად რა ბანკები, ანუ სავაჭრო და სატრანსპორტო დაწესებულებანი არიან და რა წესები აქვსთ შემოღებული თავიანთს საქმეში; ვინ ეძებს და ვის უნდა იშოვნოს საადვოკატო, სამწერლო, სამასწავლებლო და სხვა ამ გვარი საქმე: ანუ მუშაობის, პრიკაზჩიკების, მოახლის, მოსამსახურის ადგილი და სხვა.

არზებისა და სხვა ქაღალდების შედგენა.

ქ. ტფილისი, თავად-აზნაურობის ბანკის ქარვასლა (არწრუნისეული), თეატრის ქვეშ (Г. Тифлисъ. Караванъ-сарай Двор. Банка, бывшій Арцруни, подъ театромъ).

გამოვიდა და ისყიდება

ახალი ქართული წიგნი

მამიდა ასმათი

მოთხრობა

გ. წერეთლისა.

გამოცემული „ივერიის“ რედაქციის მიერ.

ფასი 20 კ.

წიგნი ისყიდება მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნთ-საწყობში, ბანკის ქარვასლაში, სასახლის ქუჩაზე.

ნამდვილი საუნჯეა

ყველასთვის განთქმული წიგნი

თავის მცველი

თხზ. დ—რის რეტაუსი

რუსულად გამოცემული 3-ის სურათით

ფასი 1 მანათი.

წაიკითხოს ყველამ ეს წიგნი, ბევრი გადაურჩენია და დაუხსნია ამ წიგნს სიკვდილისაგან.

ვინც მანათს გაუგზავნის გამომცემელ რ. ფ. ბირეს წიგნის მაღაზიას ლეიპციგში, მიიღებს წიგნსა.

ადრესი: გერმანია, R. F. Bierey's Verlage-Magazin in Leipzig. (50—37)

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ-Сарай Земельн. Банка, № 109, 110)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. კაპ. |
|---|---|
| ქართული გრამატიკა, შედგენილი არ. ქუთათელაძისაგან . . . . . . . . | „ 40 |
| ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები, ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ. . . . . | „ 15 |
| სწორ-მეტყველება, სახელმძღვანელო გრამატიკისა, პ. კვიცარიძისა . . . . . . . | „ 40 |
| ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა I ნაწ. . . . . . | 1 50 |
| II ნაწ. . . . . . | 1 50 |
| ბუნების მოვლენანი, ს. მესტიაშვილისა . . . . . . | „ 15 |
| ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის“ გამოცემა. . . . | „ 40 |
| ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ. . . . | „ 30 |
| ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა . . . . . . | „ 50 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. . . . | 3 „ |
| მცხეთის ტაძარი, გამოც. დამბაშიძისა . . . . . . | „ 25 |
| გაენათის მონასტერი, გამოც. დამბაშიძისა . . . . . | „ 25 |
| ტიბიკონი, რ. ხუნდაძისა. . | 1 „ |
| საახალწლო, ნ. ნიკოლაძისა . | „ 40 |
| საქართველოს მეფეებზე, გულისაშვილისა . . . . | „ 15 |
| გულივერის მოგზაურობა . | „ 50 |
| საუკეთესო ცოდნა, გიორგი წერეთლისა, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . . | „ 20 |


Доз. ценз. Тифлисъ, 3-го Октября 1888 года. სტამბა ე. გ. მესხისა, (Типографія Е. Г. Месхи). на Гол. просп. д. Шабурова. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე